შაბათი, 10 ნოემბ. 1907 წ.

ისარი

წელიწადი პირველი—№ 248

გაზეთი «ისარი» ერთის წლით დირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამღს 5 საათამდე დირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაბეჭდავ მცირე წერილებს დ[illegible] რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვეო მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ დირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

მატა, ანტონ და ერმოლოზ ნადარეიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ, ტრაგიკულად გარდაცვალებას: პირველი შვილის, მეორენი ძმის სოხუმის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის

ალექსანდრე დიმიტრის ძის ნადარეიშვილისას

გამოსვენება და დაკრძალვა კვირას, 11 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

დარეჯან სოლომონ ის ასული შვილებითურთ, **ივანე, გიორგი და ალექსანდრა დავითის ძენი და ასული სოზიაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 ნოემბერს, წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა-და პანაშვიდი განსვენებულ

დავით ივანეს ძის სოზიაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—411—1)

კვირას, 11 გიორგობისთვეს, დილის 9 საათ. წმ. საენების ეკლესიაში დახიშნულია წირვა და პანაშვიდი გადაცვალების მეორმოცე დღეს

დეკანოზ ნიკოლოზ არდაზიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე და შვილები გარდაცვალებულისა. (1—408—1)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ისაკა ქრისტესიას ძე ხახაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **ბარბარე სოლომონის ასული**, შვილები **მარიამ** და **სოფიო**, და სძეები: **ივანე ნიკოლოზის ძე თავადი თაქაიშვილი** და **დიმიტრი თეოდორეს ძე მღებრიშვილი**, და სთხოვენ დაესწრონენ მის დაკრძალვას შაბათს, 10 ნოემბერს.

გამოსვენება დანიშნულია დილის 10 საათისათვის, საკუთარ სახლიდან, ავჭალის ვიწრო ქუჩა (ბერეულკა) № 14. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—405—2)

ტფილისის სახალხო თეატრი. ოპერის არტისტია ამბანაგობა.

შაბათს, 10 ნოემბერს, წარმოდგენა—გალა ბენეფისი არტისტის ბ. მახინისა. პირველად

„მარგალიტის მაძიებელნი“.

ოპერა ბიზეი.

მონაწ. დებენ: ქ-ნი ტურჩანინოვისა; ბ-ნნი დე-როშბერტი, ლეონიდოვი, მახინი. (მეოთხე მოქმედება) **„გ ა ლ კ ა“** ფასები საბენეფისო.

კვირას, 11 ნოემბერს, ორი წარმოდგენა: დილით დაკლებულ ფასები—ოპერა **„რუსლან და ლიუდმილა“**, მუს. გლინკასი, საღამოთი ჩვეულებრივ ფასებით მეორედ **„ჩერევიჩკი“** მუს. ჩაიკოვსკისა. ორშაბათს, 12 ნოემბერ, **ბენეფის მოქმედი წარმოდგენა** ქალთა მეორე გიმნაზიის მოწაფეთა სასარგებლოდ—ოპერა **„ანიაზ იგორ“**, მუს. ბოროდინისა. ფასები ჩვეულებრივია. მზადდება ასევე დგმელად ახალი ოპერების **„ანნა კარენინა“** მუს. გრანელლისა, **„ახე ხოქვა მეფემ“**, მუს. ბალბაი. (—3)

იაროსლავის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკი“ სასტუმროს პირდაპირ, სახლი სტეფანოვისა.

დღეს იყიდება დარჩენილი

საქონელი

მეტად იაფად გაიყიდება ის საქონელი, რაც

იაფობას გადარჩა

(1—409—1) ჰ. დოროშენკოვი.

მქიმი

ა. ნ. დიასამიძე

ექიმი და ფენერიულ ავადმყოფებს

ღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. ღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

მქიმი

ივ. გომართელი

ღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—13)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

ღებს **განსაკუთრებით ფენერიულ, სიფილისან და ტანით ავადმყოფებს**. სწამლობს ტანკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უპირველეს **ბრიდ. ბიერნის** მეტოდი. 12—2 საათამდე. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—7)

მქიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

ღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე [illegible] 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

ღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—220)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

ნ. ა. �ტენიანცი

ღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—85—14)

დოქტორი ფედიანინა

გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადაყვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საზ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების ძიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—25)

მქიმი ქალი

ს. ზ. ძირზიკევისა

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 1½—2½ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—22)

ექიმი

ი. ი. გოკიელი

სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5½—7½ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (12—406—2)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაღრიძე

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციშვილის სახლი. (25—33.—4)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

ე. დ. ნასარაძე

ღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარაძის ბინაზე. (346)

ექიმი

ზ. ნ. მაგაკიანი

ღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას**. სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლავებისა**. ღებულია: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., № 36, სახ. ჭავჭავაძისა (25—წლ.

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვა; ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზეი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—2)

ქ. ქუთაისში

ექიმი ჯაფარიძე

ღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიკარაძისა. (50—5—6)

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

ღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—5.—41)

ექიმი

ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

ღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

ღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ᲒᲐᲛᲪᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

საგლეხო ბანკის მოღვაწეობა კავკასიაში

მიწის საკითხის გადაწყვეტას მთავრობა, როგორც ვიცით, საგლეხო ბანკის ოპერაციებით ეპირობს. ასეთის აგრარულის პოლიტიკის ღირებულება პრინციპიალურად და თეორიულად ჩვენს გაზეთში თავის დროზე საკმაოდ იყო აწონ დაწონილი. მაგრამ ის ინტერესი, რომელსაც შეიცავს საკითხი საერთოდ და საგლეხო ბანკის მოღვაწეობა კერძოდ, უფრო პრაქტიკულის ხასიათისაა, ვიდრე თეორიულისა. ამიტომ, მთავრობის აგრარულ პოლიტიკას შესახებ თეორიულ მსჯელობაზე გაცილებით მეტს ინტერესს წარმოადგენს გათვალისწინება იმ ნაყოფისა, რომელიც საგლეხო ბანკს გამოაქვს. ამიერ-კავკასიაზე მოქმედების გასავრცელებლად ტფილისში 1006 წელს დაარსებულ იქმნა საგლეხო ბანკის ადგილობრივი, ამიერ-კავკასიური განყოფილება; ჩვენთვის, კავკასიელებისთვის, სწორედ ამ განყოფილების მოღვაწეობაა საინტერესო. თითქოს ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად ბანკის გამგე დრო გამოშვებით სხვა და სხვა ცნობებს აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთებში, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ „თითქოს“, რადგან ეს გამოქვეყნებული ცნობები ყოველთვის იმდენად კუდშეკვეცილი და შემოკლებულია ხოლმე, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ ცნობებით გათვალისწინებულ იქმნას მთელი სურათი საგლეხო ბანკის მოქმედებისა.

გაზეთ „კავკაზის“ გუშინდელ (242) ნომერში, მაგ., მოთავსებულია ბანკის გამგის ბ. უსტინოვის ხელმოწერილი „მოღვაწეობა საგლეხო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებისა დღიდან დაარსებისა (15 თებერვალი 1906 წლისა) პირველ ნოემბრამდე 1907 წლისა“. ეს „მოღვაწეობა“ გადმოცემულია ციფრებით, მაგრამ ისეთი ციფრებით, რომელნიც არა გვგონია დაკმაყოფილებდეს ვისმე. ყოვლის უწინარეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერ-კავკასია მიწის საკითხის მხრივ სრულიად არ წარმოადგენს ერთგვარს ეკონომიურს ერთეულს და ამიტომ საერთო ციფრები მაგრე რიგად ნათელს ვერ მოჰფენენ ბანკის მოღვაწეობის მნიშვნელობას. ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში, მაგ., მიწის ფასი დღიურზე ათას მანეთამდე ადის, აღმოსავლეთ კავკასიაში კი ასეთი დიდი ფასი საარაკოთ მიაჩნიათ. ორთაშუა რიცხვით ნაანგარიშევი ფასი, ცხადია, ვერ გამოარკვევს საკმაოდ, რა მნიშვნელობა ჰქონია საგლეხო ბანკის მოქმედებას მიწის ფასებზე სხვა და სხვა ადგილას—ამას კი მეტად დიდი პრაქტიკული ინტერესი აქვს. გამოქვეყნებული ცნობები ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებისა სწორედ ასეთ საერთო ციფრებს იძლევა და ისიც კი არა სჩანს, თუ ამ ქვეყნის რომელ ნაწილებში რამდენი და რა გვარი ოპერაციები მოუხდენია მას. ანგარიშში დეტალურად არის მოხსენებული, რამდენი „საქმე“ (დელო) ჰქონია ბანკს მიწის შესყიდვის, დათვალიერების, აქტების შედგენის და სხვა ოპერაციების შესახებ, მაგრამ ის კი არა სჩანს **რამდენ მემამულისაგან** შეუძენია მას მიწა, **რამდენ გლეხისთვის** გაუწვდია დახმარების ხელი და სხვა. უამისოდ კი, ცხადია, ყოვლად შეუძლებელია ვივარაუდოთ, რა მიმართულება ეძლევა მიწის მობილიზაციას ამიერ-კავკასიაში. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ბანკის ანგარიშის ასეთ ნაკლულევანეობათა შესახებ, იღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძალიან სასურველი იქნებოდა, მომავალში მაინც სრულ სურათს იძლეოდეს იგი თავის მოღვაწეობისას.

რაც შეეხება იმას, თუ რა ირკვევა და რა სჩანს ეხლანდელ ანგარიშიდან, ამის თაობაზე შემდეგი შეგვიძლიან მოვახსენოთ მკითხველს. საგლეხო ბანკის უმთავრესი ყურადღება განვლილ 19 თვის განმავლობაში მემამულეებისაგან მიწის შეძენაზე ყოფილა მიქცეული. ბანკის საბჭოს საბოლოოდ დაუმტკიცებია შეიძინოს 55,577,2 დესეტინა. თითო დესეტინა 62 მან. 36 კაპეიკად. საგლეხო ბანკისთვის მიწების მისყიდვის მსურველი შვიდჯერ უფრო დიდი ყოფილა; მემამულეებს ბანკისთვის შეუძლევიათ 392,556,3 დესეტინა. თითო დესეტინა 73 მან. 22 კაპ. ამ გვარად, ორთა შუა რიცხვით ბანკის მიერ გადაჭრილი ფასი დესეტინაზე თითქმის თერთმეტ მანეთით ნაკლებია, ვიდრე თვით მემამულეებს შეუფასებიათ. ორთა შუა რიცხვით რუსეთში საგლეხო ბანკი დესეტინას 100—120 მან. ყიდულობს, კავკასიაში ასე ძვირად მიწები თვით მემამულეებსაც კი არ დაუფასებიათ. ეს განსხვავება, ჩვენის ფიქრით, გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ კავკასიაში აგრარული მოძრაობა საერთოდ უფრო გამწვავებული იყო, ვიდრე რუსეთში, და ამიტომ კავკასიელი მემამულენი, თითქმის ყველანი ჩქარობენ, ლიკვიდაცია უყონ თავის ქონებას და ფულად აქციონ იგი.

უკვე ნასყიდობის ქაღალდი (купчая крѣпость) დაწერილა 46.809,5 დესეტინა მიწის შესახებ. ბანკს ამ მიწებში დესეტინაზე მიუცია 58 მან. 24 კაპ. ნასყიდობის ქაღალდების შესადგენად ბანკს 38 „საქმე“ ჰქონია. თუ თითეულ მემამულესთან ნასყიდობის შესადგენად ცალკე „საქმე“ იყო ბანკის კანცელარიაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს 46.809 დესეტინა უყიდნია მას 38 მემამულისაგან. მაშასადამე, თითო, ბანკის მიერ შეძენილი მამული, ზომით 1231 დესეტინა ყოფილა. თუ ასევე გამოვიანგარიშეთ, რა ზომის მამულები შეუძლევიათ ბანკისთვის, ვნახავთ, რომ მას დიდრონი მამულებისთვის უძლევია უპირატესობა: ორთა შუა რიცხვით ზომა თითოეულ მამულისა, რომლის მიყიდვაც სდომებიათ მემამულეებს, ყოფილა 900 დესეტინაზე ცოტა მეტი, შეძენილ მამულების ზომა კი 1231 დესეტინაა, მაშასადამე 300 დესეტინით მეტი. ეს გარემოება საინტერესოა იმ მხრივ, რომ საერთოდ ბანკზე მამულების გასაღება მოუსურვებია მსხვილ მემამულეებს და არა საშუალო ზომისას, ხოლო საგლეხო ბანკს ყოვლის უწინარეს იმათი სურვილი დაუკმაყოფილებია, ვისაც უფრო დიდრონი მამული აღმოსჩენია. ფასები რომ შევუდაროთ შეძენილ და შეძლეულ მამულების ზომას, ვნახავთ, რომ მსხვილ მემამულეებს უფრო ნაკლებ ფასებში გაუყიდნიათ ბანკზე თავისი მამული.

ამ გვარად, პირველ ნოემბრისთვის საგლეხო ბანკის განყოფილებას თითქმის 50 ათასი დესეტინა მამული აქვს ნასყიდი. მაგრამ საგლეხო ბანკი ხომ მარტო სყიდვაზე არ უნდა ზრუნავდეს, სყიდვა მხოლოდ საშუალება უნდა იყოს მიწის გასასყიდად შეღავათიან პირობებით გლეხებზე. რამდენი უმიწაწყლო ან მცირე მიწიანი გლეხი გამხდარა საკმაო მიწის პატრონად? რამდენი მიწა შეუძენიათ საერთოდ გლეხებს ამ საგლეხო ბანკის ფონდიდან?—ამის შესახებ ბანკის მოღვაწეობის ანგარიშში არავითარი ცნობები არ არის მოქცეული, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხებს არც ერთი დესეტინა მიწა არ შეუძენიათ ამ საადგილმამულო ფონდიდან, მაშასადამე, ბანკის მოღვაწეობას ამ მხრივ გლეხობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია, ხოლო მემამულეებისთვის კი იგი საკმაოდ სასარგებლო ყოფილა, რადგან აგრარულ მოძრაობის გამწვავებულ ხანაში ბანკის საშუალებით თავისი ქონება ფულად უქცევიათ, რომელსაც გლეხი ვერც ბოიკოტს გამოუცხადებს, ვერც თვითნებობით მოხნავს, ვერც სხვაფერ გამოედავება.

საზოგადოებაში ყრუ ხმებია გავრცელებული, ვითომც საგლეხო ბანკის ამიერ კავკასიის განყოფილება ადგილობრივ გლეხთა დასახმარებლად კი არ იყოს დაარსებული, არამედ მხოლოდ მემამულეების მიწების თავის ხელში მოსაგროვებლად, რათა შემდეგ ამ მიწებზე ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულნი მოიპატიჟონო. ნუ თუ მართალია? ის გარემოება, რომ ბანკი სყიდვით კი ყიდულობს მემამულეების მიწებს, მაგრამ გასყიდვაზე არაფერი ისმის, თითქოს ამართლებს ამ ყრუ ხმებს. თუ მართლა ესაა ნამდვილი დანიშნულება და ფარული პოლიტიკა საგლეხო ბანკისა კავკასიაში, იგი დიდ განსაცდელს უმზადებს კავკასიის მშრომელ გლეხობას და საშინელ ეროვნულ შუღლის მთესველობას კისრულობს.

საგულისხმოა აგრეთვე საგლეხო ბანკის ის ოპერაციები, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს სესხის გაცემა გლეხებზე იმ მიწების გირავნობით, რომელსაც თვით გლეხები იძენენ პირდაპირის ნებაყოფლობითის შეთანხმებით მამულის გამყიდველებთან. საერთოდ ეს მიწები უფ-

რო იფად გადადიან მემამულეებიდან გლეხების ხელში, ვიდრე ის მიწები, რომელთაც მემამულეებისაგან ბანკი ყიდულობს. განსხვავება დესეტინაზე თითქმის 15 მანათამდეა. ამისდა მიუხედავად საგლეხო ბანკს შედარებით ნაკლები ყურადღება მიუქცევია ასეთ ოპერაციებზე. სულ 70,452 დესეტინის გირავნობით სდომებიათ გლეხებს სესხის აღება საგლეხო ბანკიდან; ეს ორმოცი ათასი დესეტინა გლეხებს პირდაპირ მემამულეებთან შეთანხმებით სდომებიათ შეეძ ნათ. სესხად უთხოვნიათ 1,985,860 მან. ბანკს გაუღია მხოლოდ 319,247 მან. ე. ი. თითქმის შვიდჯერ ნაკლები. ამ ორმოცი ათას დესეტინიდან ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძენიათ მხოლოდ შვიდი ათასი. ცხადია, ასეთი გარჯა ამიერ კავკასიის განყოფილებას აქტივში ვერ ჩაეთვლება. რა თქმა უნდა, გლეხებმა უკეთ იციან, რომელი მამული უფრო ესაჭიროებათ მათ, ცხადია ისიც, რომ უპირველესი დანიშნულება საგლეხო ბანკისა სწორედ ასეთ პირდაპირის და ნებაყოფლობითის შეთანხმების გაადვილებაა გლეხებსა და მემამულეებს შორის, არა ნაკლებ ცხადია, რომ სწორედ ეს ოპერაცია აფართოვებს გლეხების მიწებს და არა ბანკის მიერ თავის ხარჯზე მემამულეთაგან მიწის შესყიდვა, მაგრამ ბანკს მაინც ასეთი გულცივობა გამოუჩენია ამ ოპერაციებში. რატომ, რა მიზეზია? ნუ თუ ის, რომ ნამდვილი დანიშნულება საგლეხო ბანკისა კავკასიაში რაღაც სხვა არის და არა გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოვება?!

სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

ხომიაკოვის აზრი ებრაელთა შესახებ. სახ. სათათბიროს თავმჯდომარემ ხომიაკოვმა ასეთი აზრი გამოსთქვა ებრაელთა თანასწორობის შესახებ. „ჩვენ ჯერჯერობით ებრაელთა თანასწორობის შესახებ ხმასაც ვერ ამოვიღებთ. განა ეხლა ისეთი დროა, რომ ასეთ უმნიშვნელო საქმეებზე დავხარჯოთ ჩვენი დრო და ძალა? ამ საკითხს არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს არც რუსის ხალხთან და არც სახელმწიფოსთან. ებრაელების შევიწროვება უნდა მოისპოს, მაგრამ უცებ მისი მოსპობა შეუძლებელია. არ დავმალავ და პირდაპირ ვიტყვი: უცებ რომ რუსეთში არც ერთი ებრაელი არ დარჩეს, პირადად მე ძალიან გამეხარდებოდა. ებრაელებს საკუთარი მიწა-წყალი არა აქვთ და არც როდესმე ექნებათ, ამიტომ ისინი ძალაუნებურად სხვის ხარჯით ცხოვრობენ. ვურჩევ ებრაელებს, რაც შეიძლება მეტი თავმდაბლობა გამოიჩინონ და თავი დაანებონ ყვირილსა და ყოყლოჩინობას. ერთ რომელისმე კანონ პროექტის შედგენა ებრაელთა შესახებ შეუძლებელია. საკითხი უნდა დანაწილდეს, დაკუწნაწდეს და ნაწილ-ნაწილად გადაწყდეს. მე მაინც არ მჯერა, რომ ეხლანდელმა სათათბირომ მოასწროს ამ საკითხის განხილვა.“ პოლონელების შესახებ ხომიაკოვმა სთქვა: „პოლონელებსაც ვურჩევ, ერიდნენ მაგარ სიტყვებსა და ბაქი-ბუქს. ამით ისინი რუსის ხალხს უფრო აბრაზებენ და თავიანთ საქმეს კი ოდნავადაც ვერ შველიან. პოლონელები რომ თავს დაანებებდნენ ავტონომიაზე ყვირილს, იმაზე უფრო მეტს მიიღებდნენ, ვიდრე ეხლა მიიღებენ“.

ხომიაკოვის სტუმრად მისვლა გოლოვინთან. საზღვარ გარედ ჩვეულებად არის მიღებული, რომ პარლამენტის ახალმა თავმჯდომარემ მეორე დღეს უეჭველად უნდა ინახულოს ძველი თავმჯდომარე. ხომიაკოვიც ასე მოიქცა: მეორე თუ მესამე დღეს ის სტუმრად ეწვია გოლოვინს.

რუსეთის განაპირ კუთხეთა კავშირი. ასეთი სახელი უწოდეს ახალ კავშირს, რომელიც დააარსეს სათათბიროში განაპირა კუთხეთა რუსების წარმომადგენლებმა. ამ კავშირში 50-მდე დეპუტატია. მისი დევიზია—მთლიანობა და განუყოფელობა რუსეთისა. კავშირის მთავარ მიზანს შეადგენს ბრძოლა პოლონეთის „კოლოსთან“ და პოლონეთის ავტონომიის წინააღმდეგ. დანარჩენ საკითხებში ეს კავშირი ემხრობა მემარჯვენე მონარქისტებს, ეროვნულ საკითხში კი ოგი თხოულობს არარუსთა გარუსებას და მათთან ბრძოლას. ამ კავშირს სათავეში უდგას მინსკის დეპუტატი, სამშობლოს მოღალატე შმიტი.

მაჰმადიანთა ფრაქცია. მთელ სათათბიროში ცხრა მაჰმადიანია. ფრაქცია მიეკედლა „კადეტებს“ მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ფრაქცია იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება მაჰმადიანების შესახებ, თუ საჭირო იქნება, ცალკე იმოქმედებს და განსაკუთრებულ პოზიციას დაიჭერს.

მემარჯვენეთა შორის. მემარჯვენე ზომიერები, „ჟეშმარიტ რუსები“ და ოქტომბრისტები ერთმანეთში ვერ მორიგებულან. უკიდურესი მემარჯვენენი თხოულობენ, რომ ზომიერებმა პირდაპირ მოითხოვონ კონსტიტუციის გაუქმება და აღიარონ თვითმპყრობელობის აღდგენა. ზომიერები უარზე არიან. ამის გამო უკიდურეს მემარჯვენენი—პურიშკევიჩი, მარკოვი და სტოლიპინი, ჭლევაკი, გუჩკოვი, როძიანკო, უვაროვი, ეპისკოპოსი ევლოგი, მარკოვი, კრუპენსკი, დორერი, ლევოვი, მილიუკოვი, ხოსმამედოვი, დმოვსკი, კოლუბიაკინი და სხ.

ვაღარიბებაა პროლეტარიზაცია თუ არა?

(მცირე შენიშვნა „წყაროს“-ს მეპრესესეს)

„წყაროს“ მეპრესესე რამდენსამე საკითხს ეხება, მაგრამ ჩვენ მარტო ერთზე გვინდა გავცეთ პასუხი. ავტორი ამაყად გვიცხადებს, პირველ კლასის მოსწავლემაც კი იცის, რომ გაბოგანოვება შიმშილობას არ მოასწავებს, თქვენ „სოციალისტურ აზრის ევოლიუციას მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შეუმჩნევლად გამოგეპარათო“. მაგრამ, სანამ „წყარო“ ჩვენ წაგვიკითხავს ლექციებს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის სოციალური ევოლიუცია და გამოგვეპარა თუ არა იმის მნიშვნელობა, არ შეიძლება თითონვე ცოტა კრიტიკულად შეხედოს თავის სიტყვებს და ტერმინები და ცნებები ერთმანეთში დომხალივით არ აურიოს?

ჩვენ მეცხრამეტე საუკუნის სოციალისტური ევოლიუციას სრულიად არ გამოგვპარია მხედველობიდან, ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს ევოლიუცია მარქსისტულ დოგმის შექმნაში გამოიხატება, იმ მოძღვრებისა, რომლის ვექილობასაც თქვენა კისრულობთ. თუ ჩვენ მარქსისტულ მსოფლმხედველობას არ აღვიარებთ და ისეთს „მეცნიერულ“ ღირებულებად არ მიგვაჩნია, როგორც თქვენ, ეს სრულიადაც იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ ამ ევოლიუციის შესახებაც არაფერი არა ვიცოდეთ რა!

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ქვაკუთხედს მარქსისტულ მოძღვრებისას შეადგენს დოგმა კაპიტალების კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის შესახებ. თქვენ ასეთი შეხედულება მეცნიერულად მიგაჩნიათ, ჩვენ კი დოგმატიურად. ვინ არის მართალი ამ დავაში, ან რა საბუთების ძალით აღვიარებთ ამას, ყველა ეს ჩვენის წერილის საგანს არ შეადგენს.

ჩვენ ამ მცირე შენიშვნაში გვინდა აღვნიშნოთ, რომ თვით „წყაროს“ მეპრესეს არა სცოდნია, რა არის შიმშილობა და რაა გაპროლეტარება. ის ამ ტერმინებს შაბლონიურის მნიშვნელობითა ხმარობს და იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ საქმის ვითარებაში ღრმად ჩაიხედოს და ღირსეულის ანალიზით ჭეშმარიტება გამოარკვიოს.

პროლეტარი დამშეული კაცი არ არის, მაგრამ გაპროლეტარებას კი აუცილებლად დამშევაც მოჰყვება. ეს უფრო ცხადი შეიქნება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომელ წრეში ხდება ეს პროცესი, სოციალ-დემოკრატების წარმოდგენით აგრარულ საკითხის გამო ატეხილ დავაში სოციალ-დემოკრატები ყოველთვის ამტკიცებდნენ ხოლმე და ეხლაც ამტკიცებენ, რომ სოფელში, მსგავსად ქალაქის ინდუსტრიისა, მსხვილი წარმოება წვრილ წარმოებასა სპობსო. თუმცა ჩვენ ეს შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ მაინც წარმოვიდგინოთ ცოტა ხნობით, რომ ასეთი პროცესსი მართლადაც ხდება. რას წარმოადგენს წვრილი მესაკუთრე, რომელიც აუცილებელ პირობების გამო იძულებული ხდება, საკუთრებაზე ხელი აიღოს და ბოგანოდ, დღიურ მუშად გადაიქცეს? რა თქმა უნდა, იმ პროცესს, რომელმაც აიძულა იგი კერძო მესაკუთრისაგან დღიურ მომუშავედ გადაქცეულიყო, გაღარიბება უნდა დაერქვას. წვრილ მესაკუთრეს ჰქონდა თავისი პატარა მეურნეობა, ასე თუ ისე არჩენდა თავის თავსა და ოჯახს, მაგრამ მსხვილ მეურნეობას კონკურენცია ვეღარ გაუწია და ისიც იძულებული გახდა დღიურ მომუშავედ გადაქცეულიყო, გაპროლეტარებულიყო, ანუ გაღარიბებულიყო. როგორ თუ გაღარიბებულიყოვო? ისევ შემომძახებთ თქვენ, განა გლეხის მესაკუთრის მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე ქალაქის მუშისაო? შედარებაც არ შეიძლება, ქალაქის მუშა ლაფერ უკეთ პირობებში იმყოფება, ვიდრე გლეხ[illegible] ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, ვითომ ზოგადად პროლეტარიზაციისა გამაღარიბებელი [illegible] იყოს. თქვენ რად წარმოგიდგენ[illegible] გაპროლეტარებული გლეხი აუცილებლად ქალაქის მუშად გადაიქცევა? [illegible] მოეპის განუსაზღვრელი ზრდა ყოველ[illegible] შეუძლებელია, მაშასადამე, მუშათა [illegible] ცხვიც განსაზღვრული უნდა იყოს ხო[illegible] მე. ეს არის უმთავრესი მიზეზი იმ[illegible] რომ იბადება მთელი არმია ისე[illegible] კლასისა, რომელიც თქვენ ანტი[illegible] ციალურ ელემენტად მიგაჩნიათ. [illegible] ფელში შექმნილ მსხვილ წარმო[illegible] აუცილებლად მუშა ხელიც დასჭ[illegible] დება. აი სად წავა თქვენი გაბ[illegible] ნოვებული გლეხი! ხოლო რას წარმო[illegible] გენს სოფლის პროლეტარი, ეს კა[illegible] იცის ყველამ, გარდა იმათი, ვინც დ[illegible] მით არ არის დაბრმავებული, ავტო[illegible] ტეტს უკან ამოფარებული კი არ [illegible] ყლოჩინობს, არამედ ცხოვრებას თვ[illegible] ხილული უყურებს და ძალათი თვალ[illegible] არ იბრმავებს. სოფლის პროლეტ[illegible] ისეთს პირობებში იმყოფება, რომ [illegible] ვერც შეკავშირება შეუძლიან, ვ[illegible] ურთიერთ დახმარება. მშიერნი და მწყ[illegible] ვალნი, ერთიერთმანეთს კონკურენ[illegible] უწევენ და სამუშაო ხელფასს და[illegible] სწევენ. ამასთანავე ერთად, გონ[illegible] ცენტრს—ქალაქს—დაშორებულნი, ინ[illegible] ნაკლებად ვითარდებიან და სრულ[illegible] ვერ ითვისებენ არა, თუ ისეთს ძალ[illegible] იდეალებს, როგორიცაა სოციალ[illegible] არამედ უბრალო ურთიერთ დახმარ[illegible] იდეასაც კი. ეს კი ხდება იმიტომ, [illegible] ბოგანო მშიერია, მას ლუკმა-პური [illegible] ტრება და მზად არის ამ ლუკმა პურ[illegible] თვის ყველაფერი დაივიწყოს. გაბოგან[illegible] ვება სოფელში უკიდურეს სიღარ[illegible] მომასწავებელია. ქალაქშიაც ყველა პ[illegible] ლეტარი არ არის უზრუნველყოფ[illegible] იმისგან, რომ მშიერ-მწყურვალთა [illegible] უსახლკაროთა არმიას არ მიემატება.

ამ რიგად, ჩვენ გავათავებთ იმით[illegible] რითაც დავიწყეთ: პროლეტარი სიღა[illegible] ბეს არა ნიშნავს, მაგრამ პროლეტარ[illegible] ცია კი ისეთი პროცესია, რომელიც [illegible] ღარიბეს იგულისხმებს.

არ დაგავიწყდეთ, რომ ასეთი დას[illegible] გამომდინარეობს თქვენის, მარქსისტულ[illegible] თვალსაზრისიდან და თუ თქვენ წინ[illegible] მდეგს ამტკიცებთ, ეს ალბად იმ[illegible] მოგდით, რომ ძალიან ნაკლებად გ[illegible] ბიათ ის მოძღვრება, რომელსაც ა[illegible] რებთ.

არ. ჯ—ში.

ფელეტონი

ქაღლის მოედანი

(ეგგენი ჩირიკოვისა)

სტუმრობიდან დავბრუნდი. გულს რაღაცა ნაღველი შემოაწვა, ნაღველი უკმაყოფილებისა. თუმცა საღამო იყო და ფანჯრიდან ჩემს ოთახში უკვე სიბნელე შემოიპარა, მაგრამ სანთელი მაინც არ ავანთე და, ამოვიოხრე რა მძიმედ, მივწექ ლოგინზე.

— აა, მარია ივანოვნა, მარია ივანოვნა!

— თქვენთან ერთი შემოვიდა...—მომესმა ხმა ნახევრად გაღებულ კარებიდან.

— ვინ იყო?

— არ ვიცი, მაგრამ... მგონი რომ ამხანაგი იყო... ბარათი დაგიტოვათ.

— ეჰე, ამხანაგი! ეს კარგია.—გადმოვხტი ლოგინიდან და სანთელი ავანთე. „დღეს ცხრა საათზე. ძაღლის მოედანი №... სახლი... შესასვლელი უკანა ეზოდან. მოდით. ნუ მოგეთავაზებათ. შინაურულად. ამხანაგი.“

— საუცხოვოა. მერე ამ ნაღვლიან დროს, როდესაც შეიძლება კაცმა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად თავი ჩამოიხრჩოს.

ბევრი აღარ მიფიქრია და მაღლე გავჩნდი დანიშნულს ქუჩაზე. ესეც ძაღლის მოედანი. როგორც ამხანაგი მწერდა, შველი უკანა ეზოდამ, ავიხედე ცისკენ. ფანჯარაში სინათლე მოსჩანდა. მივდიოდი ბნელს, ვიწრო კიბეზე, საძაგელი სუნი იდგა, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ იყო? სინათლე სიბნელეშიაც ანათებს...

შევდივარ. ოთახი დაბალი ჭერით, მაგრამ ფართო. ერთი ამხანაგი წამოწოლილა და თამბაქოს სწევს, მეორე ბოლთა-სა სცემს და თმებს წამდაუწუმ იბურძგნის. მესამე—კუთხეში გაჩუმებული იდგა. გავეცანი ყველას, ხელი ჩამოვართვი და ჩამოვჯექ ფანჯარაზე.

— სტყუი!—ყვიროდა მაღალი ტანის ყმაწვილი:—მარქსს მაგისთანა არა აქვს რა, იმიტომ რომ მარქსი სულელი არ არის! მარქსი ვერც იტყოდა მაგისთანა რამეს და თუ თქვენი პლეხანოვი ამბობს ასე, ჩემთვის ეს...

ტან დაბალი ამხანაგი, თითქოს ვიღაცამ მწარედ უკბინაო, გადმოხტა ლოგინიდან და მიირბინა წიგნების თაროსთან.

— სადა გაქვთ „კაპიტალი?“.

— „კაპიტალი“ არ არი!

— ძრიელ სამწუხაროა, მე დაგიმტკიცებდით, რომ თქვენს ლენინთან ერთად ცილსა სწამებთ მარქსს, როგორც მიცვალებულს!

მესამე ამხანაგი გაჩუმებული იყო. მას ძრიელ ღარიბულად ეცვა. ძრიელ გამხდარი იყო და მაშინვე მივხვდი, რომ აქ ერთს პროლეტარზე ორი იდეოლოგი მოდიოდა.

პროლეტარმა ამოიოხრა და სთქვა:—მერე როგორ არის „კაპიტალში?“

იდეოლოგებმა ყურადღება არ მიექციეს.

— ჩემთვის თქვენი პლეხანოვი ავტორიტეტი არ არის, მე მივაფურთხებ თქვენს პლეხანოვს...

— მიფურთხება არც თქვენს ლენინზეა საძნელო, მაგრამ მაგით ხომ შენივე უვიცობის და სისულელის მეტს ვერაფერს დაამტკიცებ...

„ესეც ძაღლის მოედანი,—გავიფიქრე მე—კიდევ ძაღლის მოედანი, დაუსრულებელი ძაღლის მოედანი, სამი წელიწადი ძაღლის მოედანი...“

როგორც ვატყობდი, ამასვე ფიქრობდა პროლეტარიც.

— ბატონებო, ჩაის დალევთ?—იკითხა მან ნაღვლიანად.

— დავლიეთ, მაგრამ კიდევ დავლიოთ. მიუგო მაღალ ტანის ამხანაგმა, შემდეგ მივიდა კიბესთან და ჩასძახა ძირს—სამოვარიო.

— კიდევ სამოვარი?!—მოისმა ყრუდ ქვევიდან უკმაყოფილო ხმა.

— სულელი! ყოველთვის ბრძოლით ვშოულობთ ამ სამოვარსა!—ფურჩულებდა მაღალი ყმაწვილი.

— როგორღაც სინათლეც საკმაო არ არის, ავანთოთ შენი მენშევიკური ლამფაც,—დაუმატა მან, გაჰკრა ასანთს და თან არტისტულის კილოთი წარმოსთქვა: —აღიგზენით ლამპარნო ცოცხალთა მეჯლისისანო. ოო, ვეფხვნო ჯოჯოხეთისანო! ოო, შიკრიკნო!—ასე ამბობს ხოლმე მისტიური ანარქისტი, როდესაც ის „ოთახში, რომელშიაც სდგას მაგიდა,“ ანთებს სანთლის ნამწვავს.

— ეგ მისტიური ბატონები არიან თუ რაღაცა, რა ხალხია, ვინ არიან?—იკითხა პროლეტარმა.

— ისინი მიუწდომელნი არიან.

— პროგრამა ხომ აქვთ?

— ქვეყნიერობას უარჰყოფენ?

— როგორ თუ უარჰყოფენ?

— აი, ისე რომ უარჰყოფენ, მორჩა და გათავდა!

— მაშ რას აკეთებენ?—კიდევ იკითხა პროლეტარმა.

— სცხოვრობენ, პასპორტები აქვთ.

— მერე თუ კი ქვეყნიერობას უარსჰყოფენ?

— არ ვიცი, ამხანაგო, ამბობენ, რომ უარს ვყოფთო, და როგორ ახერხებენ ამას, „ოხრანნი“ განყოფილებაშიაც კი არ იციან ამის შესახებ არაფერი.

— ეხ,—ამოიოხრა პროლეტარმა,—ყველაფერი აწეწილ-დაწეწილია! არა, ერთი ხაზი მაინც გაიტანეთ ყველამ სწორედ, თორემ ამდენ იდეოლოგებისა კაცს არა გაეგება-რა.

მას სიტყვა არ დაათავებინეს. მაღალმა ამხანაგმა ფოლაქზე წაავლო ხელი, დაბალმა სახელოზე და ორივემ ერთად შეჰყვირეს:

— ამხანაგო, ეგ შეუძლებელია!—რით ვერ გაიგეთ, რომ მენშევიკები კადეტების მაჩანჩალანი არიან.

— რით ვერ მიმხვდარხარ, რომ ბოლშევიკებში სრულებითაც მარქსის მიმდევარნი არ არიან!

პროლეტარმა ხელი ჩაიქნია და თავი დახარა. მას მაინც არ მოეშვნენ. ერთს ისევ ფოლაქზე ევლო ხელი, მეორეს კი სახელოზე.

— მოითმინე!—სთქვა პროლეტარმა და ხელიდან გაეშვათ.—ფოლაქიც მოსწყვიტეთ, უკანასკნელი ფოლაქი!—და დაიხარა ფოლაქის ასაღებად.

ორივე ამხანაგმა მასთან ერთად დაიწყეს ფოლაქის ძებნა და თან კამათობდნენ. ამ დროს ქვევიდან მოისმა ახალგაზდა, ძლიერი ხმა:

— აქეთ, აქეთ, ამხანაგო, თავი არ ახალო!

ოთახშთ შემოვიდა თმა-ხუჭუჭა ამხანაგი; მას თან შემოჰყვა საკმაოდ კარგის შეხედულების გლეხი. გამიხარდა, იმედი მომეცა, რომ ისინი კამათში შეეშველებოდნენ ამხანაგებს. ოთახში მყოფნი თმა-ხუჭუჭა ამხანაგს როგორღაც ცივად დაუხვდნენ. ხოლო მისი თანამგზავრი კი უფრო პატივისცემით მიიღეს.

მას შესთავაზეს ერთად-ერთი სკამი და სთხოვეს დამჯდარიყო.

— დიდათ გმადლობთ... თქვენ თვითონ დაბრძანდით.

დიასახლისმა სამოვარი შემოიტანა, რაღაცას ბურტყულებდა, ეტყობოდა, [illegible] ჯავრებული იყო.

— თქვენ დეპუტატთან გამოგგზავნ[illegible] —შეეკითხნენ გლეხს.

— ჰო, პეტერბურგში მივდივარ... [illegible] ფელმა გამომგზავნა... წადი, ნახე, [illegible] გე—რა ხდებაო. მაგრამ როგორა ნა[illegible] აი შარშანაც გამოვგზავნეთ ამორჩეულ[illegible] კაცი, მაგრამ ვერა გაეგო-რა; ორი [illegible] რის შემდეგ ისევ უკანვე დაბრუნდა ბ[illegible] ცარიელი. დიდი ქალაქია. აბა მოსკ[illegible] რა არი და იქაც კი დავიბენ; ეს ა[illegible] გაზდა ბატონი რომ არ შემხვედრო[illegible]

— ლაზარ, ნუ მეძახი, თუ ღმ[illegible] გწამს, ბატონს.

— მერე რა ცუდია, მაშ როგორ [illegible] გიძახო?

— დამიძახე სახელი, ან კიდევ, [illegible] უკეთესია, „ამხანაგი“.

— ეგრე იყოს, ძაან კარგი... შენ[illegible] ყმაწვილი ხარ, ჩვენი გაჭირვება გესმ[illegible]

— მხდლოდ კარგად კი ვერა!—[illegible] ბუტბუტა კუთხეში მაღალმა ამხანა[illegible] აქ მე მივხვდი, რომ ეს თმახუჭუჭა [illegible] წვილი ის ესერი იყო, რომელიც [illegible] ივანოვნასთან ერთად ბარიკადის [illegible] შეძვრა. ვისარგებლე დროთი და ვ[illegible] იმის შესახებ.

— ეხ, არაფერი არა ვამოვიდა-რ[illegible] მიპასუხა მან,—პარტიებს ისე იცვლ[illegible] როგორც ხელთათმანებს, ბოლოს მთ[illegible] გაბურძგვავდა.

— ამხანაგებო, ხომ არ გაჯავრდ[illegible] რომ ცოტა მახორკა მოვსწიო?

სამმავე ამხანაგმა გადაუხსნა გ[illegible] საპაპიროსე. ის უხერხულად ჰგრძნ[illegible] თავს, მაგრამ მალე გამოირკვა და [illegible] მარჯვეული გამოვიდა ამ მდგომ[illegible]

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

—:—

✦ **ლექციები.** სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების ქართულ სექციის ინიციატივით 8 ნოემბერს უკვე დაიწყო სისტემატიური ლექციები. პირველი ლექცია ფიზიკის კანონების შესახებ ტფ. პირველ გიმნაზიის სადგომში წაიკითხა ვ. ი. რცხილაძემ. ლექციას ბევრი მსმენელი დაესწრო. ბ-ნი რცხილაძე კვირაში ორ ლექციას წაიკითხავს ფიზიკიდან. მომავალ კვირიდან ექიმი ბ-ნი ვ. მუსხელიშვილი დაიწყებს ლექციებს ჰიგიენიდან.

✦ **კრება.** 8 ნოემბერს ბ-ნ ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. ხალხი ბლომად დაესწრო. ს. გორგაძემ წაიკითხა რეფერატი ეგრედ წოდებულ ორ მეფობის ხანაზე საქართველოში. ორ მეფობის დრო, საქართვ. მატიანეს ცნობით, ეკუთვნის პირველ საუკუნის (ქრისტ. დაბ. შემდეგ) პირველ ნახევარს. რეფერენტმა მოიყვანა ისტორიული ცნობები. იგი ამტკიცებდა, რომ ორ მეფობა არა ყოფილა აღნიშნულს ხანაში და ცნობა შეცდომით არის შეტანილი „საქართველოს ცხოვრებაშიო“. რეფერენტი, კლასიკურ მწერლების მოწმობით, ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ ხანაში საქართველოში იყო ერთი მეფე, ხოლო მეორე, უდიდესი პირი სახელმწიფოში, იყო მეფისავე სგვარეულოდან, რომელიც ასრულებდა ჯარის უფროსისა და უმაღლეს მსაჯულის თანამდებობას. შეიძლება მემატიანემ შეცდომით ეს მეორე პირიც მეფედ აღიარა. რეფერატმა კამათი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა ორ მეფობას, ზოგი არა. თავ. პ. თუმანიშვილმა საპირიდ სცნო, ასეთ რეფერატების მოკლე შინაარსი გაზეთების შემწეობით წინდაწინვე ეუწყოთ ხოლმე წევრებს, რათა ისინიც მომზადნენ და კამათი უფრო ნაყოფიერი იყოს. ამასთან თავ. თუმანიშვილმა სთქვა, ჩემის ხარჯით გამოვცემ საინტერესო გამოკვლევებსაო. კრებამ დაავალა გამგეობას წინდაწინვე შეადგინოს ხოლმე კონსპექტი წასაკითხავად დანიშნულ რეფერატებისა. ამ დღეს სხვა რეფერატებიც უნდა წაეკითხათ, მაგრამ დაგვიანდა და სხვა დროისთვის გადასდეს.

✦ **გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი** ტფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით სამხედრო წესების მოხსნამდე ტფ. გუბ. და ზაქათ. ოლქში ცხოვრება აეკრძალათ სარქის ფირუმოვსა და პეტრე ბარაბაშს; 3 თვით დაპატიმრებულ იქმნა თელავის მაზრის სოფ. კურდღელაურის მცხოვრები თედო დათუნაშვილი, 2 თვით დაპატიმრებულ იქმნა ს. ვაქირის მცხოვრები ვანო ბაგნაშვილი.

✦ **თავის მოკვლა.** სერგო მარგულოვის სახლში ელისაბედის ქუჩაზე, შემახის ვაჭრის ქალმა მარიამ ნაზაროვმა (18 წ.) რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლა. ნაზაროვს ბარათი დაუტოვებია. აცხადებს, ჩემს მკვლელობაში ბრალი არავის დასდოთო. მიზეზი არ არის გამორკვეული.

✦ **ახალი სომხური საზოგადოება.** სომეხთა ინტელიგენციის ერთმა წრემ განიზრახა დააარსოს „ტფ. გუბერნიის სომეხია შორის სასარგებლო ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოება“. წესდება უკვე შეუდგენიათ და ნებართვაც აუღიათ. დამაარსებელთ განზრახვა ჰქონიათ მიეღოთ „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წესდების მაგვარი, ესეგი ისეთი, რომლის ძალითაც შესძლებოდათ მოქმედება ყველგან, სადაც სომხები სცხოვრობენ, მაგრამ ადმინისტრაციას ნება არ დაურთავს. წესდებით ახალს საზოგადოებას შეუძლიან ტფ. გუბერნიაში სომეხთათვის დააარსოს სკოლები, მოაწყოს კურსები, გამოსცეს წიგნები, შეიძინოს სწავლა-განათლების საჭიროებისათვის უძრავ-მოძრავი ქონება და სხვა. საზოგადოება დააარსებს განყოფილებებს ტფ. გუბერნიის სხვა და სხვა ადგილას.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** 8 ნოემბერს საღამოთი პოსტაიალის ქუჩის შესახვევში, ალხაზოვის სახლის მახლობლად, სასიკვდილოდ დასჭრეს განჯის მოქალაქე სამსონ ბარხიანცი. ბარხიანცმა განაცხადა, ვაჭარმა მიხეილ მანუჩაროვმა დამჭრაო. მანუჩაროვი დაიპატიმრეს.

✦ **შემოსავალ გასავლის აღრიცხვა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკვე დაასრულა 1908 წლის შემოსავალ გასავლის აღრიცხვა. ვარაუდით მომავალ წელს ქალაქს უნდა შემოუვიდეს 1,442,599 მანეთი. აღრიცხვის პროექტი ახლო მომავალში წარედგინება საბჭოს დამტკიცებლად.

✦ **დღეს,** 10 ნოემბერისათვის ბუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში დანიშნულია კრება სომეხთ კამომტემელ საზოგადოებისა.

✦ 8 ნოემბერს დამე, ვარანტოვის ქუჩაზე, ვართახოვის სახლში, სპარსეთის ქვეშეგრდომის ჯაბაშმა ალიევმა მადაზიაში ქურდებს ჭერი კუჭრიათ, ჩაბარდან და კუტანიათ 1056 მანეთი ფულად და საქონელი. ქურდობის კამო დაუპატიმრეს მამედ მუსაისმაელ ოდი, მამედ იბრაგიმ ასკერ ოდი, ადამამედ და ბაშარ ისმაილ ოდი.

✦ 8 ნოემბერს, სადამოთი, რამდენიმე კაცი შეუვარდა მეტეხის ქუჩაზე კარაპეტ ვართანოვს, რევოლვერებით დაადგა და ფული მოსთხოვა. კაიტაღის ფულად 104 მან. და 129 მანეთის ნივთები.

✦ 7 ნოემბერს დორის მეფიქოვის ქუჩაზე სიდიბისტრო კვაჭაძეს მოსამსახურე ქალმა ეკატერინე მოდოკანოვისამ ტანისამოსზე ნაკოთი კადასხა და ტეტხლი მოიკიდა. დაშავებული ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ ოლგას ქუჩაზე 8 ნოემბერს ივანე ნიკოლაშვილის დუქანში შესულა ალექსანდრე ჭელიძე. როცა ჭელიძე დუქნიდან გასულა, ნიკოლაშვილს შეუნიშნავს, რომ მა, კასიდან 380 მან. მოპპარეს. ჭელიძეს პოლიცია დაეძებს.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

—:—

გაზეთს „წყაროს“ პოლემიკის საღერღელი აჭრილია. ალბად, უპოლემიკოდ მის პუბლიცისტებს მოწყენილობა დაემართათ. მაგრამ ნაძალადევი და ხელოვნური არაფერი არ ვარგობს, ამიტომ ვერაფერი საპოლემიკო მარგალიტია „წყაროს“ ახალი და სუსტი იერიშიც ჩვენზე. საიერიშოდ „წყაროს“ ამოურჩევია. ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილი იმ ბადაუბდის შესახებ, რომელიც ახალიათებს ოქტომბრისტების ეხლანდელ პოზიციას. „წყაროს“ არც აცინებს, არც აცხელებს და ბუკა და ნადარას სცემს, „ისარს“ ვერაფერი გაუგია, გზა-კვალი აბნევია და ან კი როგორ გაართმევდა თავს დღევანდელ რთულ ვითარებასო. საკვირველია, რომ როცა კი მოისურვებენ, „წყაროს“ პუბლიცისტები ყოველთვის სანიმუშოდ აყენებენ ყირამალა ჩვენი გაზეთის სიტყვებს. ჩვენი გაზეთი ახასიათებდა ოქტომბრისტების არევ-დარევას, მათს წალმაუკუღმა ტრიალს სუსტი ლიბერალიზმის და ცხადი რეაქციის შუა, „წყაროს“ კი ჩვენ გვიკიჟინებს ბადა-უბდას და გამოურკვევლობას. qui pro quo თუ გნებავთ, ეს საუკეთესო ნიმუშია. ვისაც არაფერის გაგება არა ჰსურს, ის, რა თქმა უნდა, ჩვენი წერილებიდან ვერავითარ გარკვეულ აზრს ვერც ერთ საგანზე ვერ გამოიტანს, მაგრამ ჩვენი მკითხველები კი ძალიან კარგად იგებენ და კარგად ითვისებენ ჩვენს აზრებს, უეჭველია კარგად გაითვალისწინებდნენ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ წერილებიდან იმასაც, თუ რას წარმოადგენენ ოქტომბრისტები.

„წყაროს“ მეპრესსე ამასთანავე ერთად გვედავება იმ წერილის შესახებ, რომელიც საქართველოში დაწყებულ შიმშილობას ეებოდა. რა კავშირი აქვთ ოქტომბრისტების არევ-დარევას დამშევასთან და როგორ აერთებს ამ ორ საგანს საპოლემიკოდ გაზეთი „წყარო“—ეს მისი საიდუმლოებაა. ჩვენ კი, გულ-ახდილად უნდა ვთქვათ, არავითარი სურვილი არა გვაქვს, საქართველოს დამშევა პარტიულ ხასიათის სალიტერატურო კინკლაობის საგნად ვაქციოთ. ამ საგანზე „წყაროს“ პუბლიცისტებთან კამათი ჩვენ პირდაპირ შეუძლებლად მიგვაჩნია და რომ ეს ჩვენს აზრი მართალია, იქიდანაც კარგად სჩანს, რასაც ეხლა ეს გაზეთი გვიკიჟინებს. „წყარო“ სწერს, ვითომ ჩვენს გაზეთში გვეთქვას, ს.-დემოკრატებს ხალხის დამშევა ესიამოვნებათ, ჩვენ—ს.-ფედერალისტები კი ხალხის ერთად ერთი გულშემატკივარი ვართო. ჩვენ ეს არ გვეთქვამს... მაკრამ „წყაროს“ ბრალდებისაგან თავის გამართლებაც არა გვსურს. დეე, თუ ჰნებავთ „წყაროს“ პუბლიცისტებმა გაიხადონ ეს **დიდი უბედურება** დემაგოგიის იარაღად, ჩვენ მას ასეთს გზაზე არც წინად მივუვებოდით ხოლმე და არც ეხლა ჩავუვებით.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

—:—

შირაქი. შირაქში ქედელი ახალშენი სოფელია. ამ სოფლის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნულნი და დამის არის სულ ერთიანად კანსაკუთრდეთ. კაჭირვებამ გვაიძულა გამგნოთ საზოგადოებას ჩვენის უბედურების მიზეზი. მოგეხსენებათ, ადგილი არსად არ არის საკმაო ხალხი მრავლდება და ადგილს კი არ ემატება არც სიგრძე და არც სიგანე. სოფლის მშრომელ ხალხს არ შეუძლიან ცხოვრება უმიწოდ. მიწის სიმწირემ გვაიძულა მიგვეტოვებინა ჩვენი კერა და მოგვეძებნა იმდენთ ფართო ადგილი, რომ იმის საშუალებით შეგვძლებოდა დაგვხსნა ჩვენი და ჩვენი ოჯახი შიმშილისაგან. ჩვენ გადავსახლდით შირაქში, რადგან ამ ადგილს კარგად ვიცნობდით: უხსოვარ დროიდან ჩვენ, მოიელნი, ვსარგებლობდით ამ ადგილით, როგორც საძოვრით. ამ რამდენისამე წლის წინად მთავრობამაც მოგვცა ნებადაერთვა შირაქი თიანეთისა და დუშეთის მაზრის მცხოვრებთ, ადგილი 118 სოფელს. ამ სოფლის მცხოვრებნი არიან თუშნი, ფშაველნი, მოიელნი და მოხევენი. ამნაირად ეს ადგილი ჩვენს ხმარებაში იყო და ვინ იფიქრებდა, რომ რადისმე ვინმე კამოგვდაგვებოდა, როგორადაც გვეხმარა ის. როგორც ზევით ვთქვი, სიმწირეს კამოავიარებინა ძველ სადგომიდან და ვიწყეთ გადასახლება შირაქში. ვინ ჩამოთვლის, რამდენი კაჭირვება კამოგვიარეთ. მგზავრობა, სიცივე, სიცხე, შიმშილი, თავდასხმა—კაძარცვა, კლეკა, საქონლის კატაცება და ოჯახის აკლება; ჩამოვედით შირაქში და რამდენისამე ხნის განმავლობაში, სანამ ქოხებს კეკეკეებდით, უსახლკარად ვიუავით. შეუდექით ოჯახის მოწყობას. ერთგვარ ხვნა-თესვას, მაკრამ დანეი ჩვენს უბედურებას: მდიდარ თუშებს „მიწის დამუშავების უფლებას არ კაძლევთ; თუ კნებავთ, თქვენც აძოვეთ ცხვრის, ცხენის და ძროხის ჯოგებიო“. ჩვენ უთხარით, ჩვენ ჯოგი არაფრისა არა გვაქვს; ჩვენ გვაქვს ერთი, ან ორ უდელა ხარი, რის საშუალებითაც მიწა უნდა მოგვხნათ და ჩვენი მშიერი ოჯახი დავარჩინოთ; თუ ინებებთ, თქვენც მოხანით და ჯოგიც აძოვეთ. ჩვენ არ გიშლიოთ“ მაკრამ, ჩვენდა საუბედურად, მათ არ დაიშალეს და ადგრეს საჩივარი; მოგვიდა ბოქაული, რომელმაც გამოგვიცხადა, მოხვნის უფლება არ გაქვთო. აგერ ერთი თვეა ხვნა თესვა შეწერებული გვაქვს; შეიარაღებული თუშები დადიან და თუ ვინმემ გუთანი შეახა, ეტემიან მათს ოჯახს და იკლებენ. მუქარით გვეუბნებიან, „ას თუშობით დაგხარჯავთ და აქედან კი გაგრეკავთო“. ნეტავი ვის აძლევენ იმ ას თუშნებს. იმ დაფიცვიდებს, თუ ფული აქვთ, ჩვენ მოგვცენ, ჩვენ, რომელთაც შიმშილისაგან კუჭი გვეწვის. ადგილი ბევრია. ეს 70,000 დესეტინა მიწა მარტო ბირუტუვისთვის რად უნდა იყოს, როდესაც ჩვენ ადამიანი ვარო დაწშიმშილისაგან კუჭი გვეწვის. დღეს 500 გუთნამდე ცუდად გვაუნია, რადგან არ გვაძლევენ მუშაობის ნებას. ამ დღეებში სიცხადიან მოგვედით მაზრის უფროსს და არ ვიცით, როგორ კადაწყდება ჩვენი ბედი.

ბ. ბექაური.

სოფ. განაჯიას მუხური (ზუგდიდის მაზრა). ქურდობა და მტაცებლობა განაჯიას მუხურში გაბშირდა. ქურდ-ბაცაცების წყალობით ყოველთვის იკარგებოდა ძროხა, ცხენი, კამბეჩი და სხვა ბირუტეული, მაგრამ რაც დღეს განაჯიას მუხურში ხდება, წინად არ გაგონილა. ისე დღე არ გავა, რომ არ გაიგოთ თოფის სროლის ხმა, ეიეინა—აიქეთ გეიშეველეთ, ქურდები ცხენებს მიერეკებიანო. დაედევნება ხალხი, ასტედება სროლა ორივეს მხრით, ხან ერთი კაიმარჯვებს, ხან მეორე.

ბირველ ნოემბერს შუა დამისას თოფის ხმა მოგვესმა. თოფის ხმასთან ერთად გაისმა ქალების გულ-შემზარავი წივილ-კივილი, რამაც მთელი სოფელი ფეხზედ დააყენა. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა, ეგონათ—ქურდები დაეტნენ და ბირუტეულებს მიერეკებოდნენ, მაგრამ ეს არ გამართდა თურმე. აქაურ მცხოვრებს ჩათ დარსანიას თოფი გაუგარდა, მოგზვდა იმის თვრამეტი წლის გასათხოვარ დას და იქვე სიცოცხლეს გამოასალმა.

ენგურის პირელი.

ბიდან.

— რომ არ ვაწყენინო არავისა, ყველას გამოვართმევ.—სთქვა მან და სამივე საპაპიროსედან თითო პაპიროსი აიღო.

— თქვენ, ამხანაგო, ესდეკი ხართ თუ ესერი?

— ჩვენ? როგორ გითხრათ...

— უფრო ესერებს ემხრობა...—სერიოზული კილოთი უპასუხა თმახუჭუჭა იდეოლოგმა.

— ჰოდე, სწორედ რომ მაგრეა, ისინი ჩვენთვის უფრო სასარგებლონი არიან. ჩვენთვის მიწა პირველი საქმეა...

— და თავისუფლებაც, რასაკვირველია!—დაუმატა თმახუჭუჭამ.

— ეგ თავისთავად აშკარაა.. ეს რაღაც ერობაა, ჩვენთვის, რომ სთქვას კაცმა...

— ჰო, საზოგადოთ!—კიდევ დაუმატა თმახუჭუჭამ.

— ეგ თავისთავად ასეა, გესმით, ნაგლეჯები კი არა..

— მიწას რაც შეეხება, ამხანაგო, ჩვენ, ეგ საკითხი უკეთესადა გვაქვს გადაწყვეტილი.—მიუგო მაღალმა ყმაწვილმა.

— ჩამონაჭრები—არა?—შეეკითხა გულმოსული თმახუჭუჭა.

და კვლავ დაიწყო ძაღლის მოედანი... მაღალი ყმაწვილი არცხვენდა თავის მოკამათეს.

— ეხლა საკითხი ხელმეორედ გადასწყდა, თქვენ ეს კარგად იცით და განგებ მალავთ. ეხლა ჩვენც მთელი მიწის მიცემას ვუპერთ მხარს. ეგ უსინდისობაა რო გლეხობა შეცდომაში შეგყავთ!

— ჩამონაჭრები მოუხერხებელი იქნება, ჩვენ ისედაც მხოლოდ ნაჭრები გვიჭირავს...

— ჩვენ, ამხანაგო, მუნიციპალიზაციას ვლიარებთ, ეგენი კი სოციალიზაციას...

— ჩვენ ეგ არ გვესმის კარგად, უსწავლელი ხალხი ვართ.

პროლეტარი გლეხს მიუხლოვდა:

— გესმით, ამხანაგო, რაშია საქმე?

— ჩვენთვის ეგენი საჭირო არ არის, მიწა ჩვენია, მორჩა და გათავდა! ჩვენს შორის კი თვით ჩვენვე მოვრიგდებით...

— ეგ ასეა, მაგრამ მაინც და მაინც...

— რასაკვირველია, თქვენ ჩვენთვისა სცდილობთ, განა ეს ჩვენ არ გვესმის!

— ესდეკები, ამხანაგო, პროლეტარიატად მხოლოდ მუშებსა სთვლიან, ჩვენ უპირველესად თქვენ ე. ი. გლეხებს...

— ნუ აჭარბებთ!

— სრულებითაც არა! გესმის, ლაზარ, რაშია საქმე: შენ გაქვს მიწა, ბარსაკეთი, ფარცხი, გყავს ცხენი...

— შენ ჯერ ისა მკითხე, რამდენი მაქვს მიწა!—მიუგო შემკრთალმა გლეხმა:—იმდენი, რამდენიც საკმაო იქნება მხოლოდ საფლავისთვის, ცხენიც მართალია მყავს, მაგრამ ერთი ნახეთ, რა ცხენია—ცარიელი კუდი... შენ გიჭირია ამაზე?

— ჩვენ ხომ მარტო თქვენზე არ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვამბობთ საზოგადოდ...

— ეგენი, ამხანაგო,—აუხსნა პროლეტარმა,—ასე სჯიან: თუ, მაგალითად, შენ გაქვს საწყრმოვო იარაღი, მაშინ შენ იქნები წვრილი ბურჟუა, ვისაც არა აქვს...

— ეგ მაგათი საქმეა, რა სახელიც უნდა გვიწოდონ, მაგათ უკვედ იციან, მაგრამ მიწას კი რაც შეეხება... აი, ამის შესახებ, კადეტებს რომ ეძახიან, მორიგებით სურთ საქმის გადაწყვეტა.

— არ დაუჯეროთ! მოგატყუებენ! მიაყვირა გლეხს სამმა იდეოლოგმა ერთხმად.

— ბურჟუები!

— გადმოაბრუნე კადეტი, — ურჩევდა პროლეტარი,—გადმოაბრუნე და დაინახავ, რომ შიგნიდან ბატონია—ნამდვილი ბატონი!

— მესმის, ბატონია...—დაეთანხმა გლეხი და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:—მგონი იქნებ თქვენ შორისაც რომელიმე იყოს, ყმაწვილებო... მე... მე... არ ვიცი, რა დაუძახო...

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მძიმე, უხერხული სიჩუმე და ყველას გაუხარდა, როდესაც ქვეიდან მოისმა ქალის მელოდიური ხმა:

— შინ არიან?

— შინ არიან, ჩხუბობენ! — უპასუხა ვიღაცამ ქვევიდანვე.

მადლობა ღმერთს—ქალია! გავიფიქრე მე და გულზე მომეშვა. „დიდხანს ვმსჯელობდით“, მომაგონდა ამ წუთას ერთი ლექსი. ოხ, ქალი, ნაზი, მშვიდი ანგელოზი, ნაღვლიანი და მხიარული. ოხ, უტურფესო, მოდი ჩვენთან ძაღლის მოედანზე და შენის სხივოსანის თვალებით შეეხე ჩვენს იარებს, რომელნიც მივიღეთ იდეოლოგიურ ომებში...

შემოვიდნენ ორნი: ქერა და შავგვრემანი. ორივეს თუმცა მდიდრულად არა, მაგრამ კოხტად კი ეცვა. ორივეს თავი თუმცა ცოტა ამაყად ეჭირა, მაგრამ მაინც შვენოდა. მიკვირს, რატომ არ უცქერიან ერთმანეთს და მაღალის ტანის ქალი რად უყურებს მეგობრულად მხოლოდ მაღალს ყმაწვილს, დაბალი კი დაბალ ყმაწვილს? ხოლო თმა ხუჭუჭა, ლამაზ ყმაწვილს კი რად ერიდება როგორც ერთი, ისე მეორე!

როდესაც ქალებმა გლეხს სალამი მისცეს, ის წამოდგა და სკამი შესთავაზა:

— დაბრძანდით, გვრიტებო, დაბრძანდით, აი, სკამი!

— ნუ სწუხდებით, ამხანაგო!

— არა, დაბრძანდით, როგორმე ორივე ერთს სკამზე მოთავსდით.

— ამხანაგო, ნუ სწუხდებით, თუ ღმერთი გწამთ!

ორივე ქალი ფანჯრისკენ მიიმართა, მაგრამ ქერამ მიუსწრო და შავგვრემანი უკანვე გამობრუნდა.

— დაჯექით, იქ შეიძლება ორივენი მოვთავსდეთ.—უგულოდ მიიპატიჟა ქერამ.

— ნუ სწუხდებით, მე ჩემთვის ვიშოვი ადგილს—ისეთისავე კილოთი მიუგო შავგვრემანმა.

მე უკვე მივხვდი, რომ ერთი მათგანი იყო „ბოლშევიჩკა“, ხოლო მეორე „მენშევიჩკა“.

— მაშ, მე ისევ ჩემს ადგილზე დავჯდები,—ჩაიდუდუნა გლეხმა და დაჯდა.

შავგვრემანი ელაპარაკებოდა მაღალს, ქერა კი დაბალ ყმაწვილს. ისინი საიდუმლოდ ლაპარაკობდნენ. გლეხი პაპიროსს ეწეოდა, გამოუშვებდა კვამლს პირიდან და მალ მალ შინჯავდა პაპიროზს უგულოდ, თითქოს ის იდეოლოგების მხრივ რაღაც მოტყუებას ჭვრეტნობსო.

— ეხ, ეხ, ეხ!—ამოიოხრა პროლეტარმა და ყველანი გაჩუმდნენ.

— ამხანაგო, ჩაი დალიეთ?—ჰკითხა უცებ შავგვრემანმა ქალმა მაღალ ყმაწვილს.

— ამ წუთას!—მიუგო მან და ჩაეშვა კიბეზე, საიდანაც მალე დაბრუნდა სამოვრით ხელში.

— მოგვატყუეს, სამოვარი თავისუფალი არ არისო. სამზარეულოში დეოდა, არვიცი კი რისთვის... ამხანაგო, იდიასახლისეთ? შავგვრემანი ქალი მიუჯდა მაგიდას, გლეხი უსკამოდ დარჩა.

— ბატონებო, აი, კადეტებს რომ ეძახიან, ისეთი ხომ არავინ არი თქვენში?

— ჩვენ ბურჟუები არა ვართ! მიუგეს ქალებმა.

— ამხანაგო, რაში დაგჭირდათ კადეტი?

— ისე, მინდოდა თქვენ პირის პირ დამეყენებინეთ, უფრო კარგად გავიგებდი...

— თქვენ საკმაოდ ეშმაკი ყოფილხართ!—წარმოსთქვა ცივად და ზურგ შექცევით შავგვრემანმა.

— ჩვენ? აქ სიეშმაკეს რა უნდა, სრულებითაც არა...

— სჯობია ჩაი დალიო!

— შეიძლება!

ჩვენ შევუდექით ჩაის სმას. მხოლოდ თმა ხუჭუჭა არა სვამდა და როდესაც ის მივიდა ტოლთან, შავგვრემანმა უთხრა:

— ჭიქა არ არის, როგორც სჩანს, ესერებს ფინჯანით მიუხდებათ ჩაის დალევა.

— არა, ემჯობინება დავიცადო—მიუგო მან წყრომით და შუბლ-შეკრულმა დაიწყო ოთახში სიარული.

ამ დროს მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ხოლმე. სახლის-პატრონმა ამოირბინა ქვევიდან და შეატყობინათ, რომ ვიღაც მოხუცი მოვიდა.

— ვიღაც უცხოელია, შემოუშვა, თუ ვუთხრა, რომ შინ არა ხართ?

— მოითმინეთ! მე თვითონ...

მაღალი ამხანაგი ქვევიოკენ გაიქცა. ჩვენ გავჩუმდით. შავგვრემანმა ქალმა ქამრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და გადაყლაპა. ქერა ქალი კი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. რაღაც წიგნაკი ჰქონდა და თუმცა ეს წიგნაკი ძრიელ თხელი იყო, მაგრამ კონსპერაციას რაც უნდა ძალა დაეტანებინა. მაინც მისი შეკმა ძრიელ გაჭირდებოდა. ჩვენ ველოდებოდით, მომაგონდა ურალი, „პა-

საქართველოს სამხედრო გზა. ნათქვამია: „სულ არაობას ცოდ უდელი სარი სჯობიაო“. ცოტათი კაიდგიძა საქართველოს სამხედრო გზამ მაგრამ წინად სულ სხვა იყო და ეხლა სულ სხვაა. სადგურებს მაინც ისევ დაობდება, გამოურუნება ეტყობა. ენკენისთვის კასუდებში კომისიამაც ჩამოიარა, სადგურები დათვარიერა და გამოუცხადა ახალ მოჯარადრეს, რაც იმისი მოვალეობა იყო, მაგრამ ბ-ნს მოჯარადრეს ჯერაც არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა. ასე კასინჯეთ, „შერკლადნოებს“ თოკებიც კი არა აქვთ, რომ მგზავრების ბარგი დაუკრონ ხიდმე.

გამოცხადდა თუ არა გზა კაიხსნაო, მაშინვე ბევრი ადმოჩნდა მსურველი სადგურებში ბუფეტების ადებისა. მოჯარადრე ედიკაროვი კი, არ ვიცი რა მიზეზით, ერთსა და იმავე სადგურში ბუფეტს ორს მოხოვნედს ჭმარდება; და ჯერ ერთს უგზავნის დეპეშას, ბუფეტი შენზეაო, მერე მეორეს. ასე მოიქცა, მაკადიოთად, ბადოის და გუდაურის ბუფეტების შესახებ. მეეტდეების ჩიგიდს ხოშ საზდვარი არა აქვს. ჩიგიან: აგერ მეორე თვე გშსახურებთ, რაც გზა კაიხსნა და ჯერ ჯამაგირი არ მიგიდიაო. ამასთანავე, მეეტდეებს ჯამაგირი დაუნიშნეს თხუთმეტი მანეთი თითოს, მეტი არაფერი, არც შური, არც ხორცი. მეეტდეებს დაურიგეს შავი მაზარეები (ხადათს ეძახიან) და ბატარა ძოკდე ტუვები. მოიჯარადრემ გამოუცხადათ, რვა მანეთი უნდა გამოგართვათ მაზარასა და რვა ტუვში, სამი მანეთი და ათი შაურიც ნაბდის ფეხსაცმელებშიო. მეეტდეებს შორის დიდი დაბარაკი და მითქმა-მოთქმაო.

საქართველოს სამხედრო გზაზედ ცარცვა კდეჯა არ ისმობა. ეგედაფერის ჩამოთვლა შეუძლებელია. **ხეველი.**

რუსეთი

—:—

✦ **გაძლიერებული დაცვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა გუბერნატორებს, შეიძლება თუ არა ეხლავე გა-

---

ძლიერებულ და განსაკუთრებულ დაცვის წესების მოხსნაო? გუბერნატორთა უმრავლესობამ უპასუხა, ეხლავე ამ წესების მოხსნა არამც და არამც არ შეიძლებაო.

✦ **ერთის თვის სტატისტიკა.** „რეჩის“ ანგარიშით ოქტომბერში საოლქო სახედრო სასამართლოებმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 117 კაცს. ამავე ხნის განმავლობაში ძარცვა-გლეჯისა და ექსპროპრიაციის დროს მოკლულ იქმნა ჯარისა და პოლიციის მიერ 199 კაცი, დაჭრილ იქმნა 143 კაცი. დაცემა და ძარცვა ყოფილა 187, გაუტაცნიათ 400,000 მანეთი. გაუძარცვავთ 27 სახაზინო საარყე დუქანი, 11 საფოსტო განყოფილება და 9 კანცელარია მამასახლისებისა. 32 ალაგას აღმოუჩენიათ ყუმბარებისა და იარაღის საწყობი, 11 ალაგას—საიდუმლო სტამბა და ბინა.

ჟურნალ-გაზეთის დევნამ არ იკლო. ამ ხნის განმავლობაში დაუჯარიმებიათ 24 გაზეთი 18,300 მანეთით, დაუკეტიათ მრავალი გაზეთი, ყველაზე მეტი—მოსკოვსა, ტფილისსა და ადესაში. გამოცემულ იქმნა მრავალი სავალდებულო დადგენილება წინააღმდეგ გაზეთებისა. ზოგგან გაზეთებს აუკრძალეს წერა სტუდენტებზე, ზოგგან—ხოლერაზე, ზოგგან—„ჰეშმარიტ რუსთა კავშირზე“. კიევის გაზეთებს აუკრძალეს წერა საავადმყოფოებზედ.

✦ **გადარეული ეპისკოპოსი.** პეტერბურგის მიტროპოლიტმა ვლადიმერმა ეპისკოპოსს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ამურის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა გარეკა კონსისტორიის ყველა წევრი, თავისი მდივანი, ხოლო კონსტიტორიის მდივნები პოლიციის დახმარებით გაიყვანა. მიბრძანდით ბლაგოვეშჩენსკში და გაიგეთ მიზეზი“.

✦ **ადესის საბჭო და კონსტიტუცია.** 2 ნოემბ. ადესიის ქალაქის საბჭოს უნდა განეხილა დეპეშის პროექტი, რომელიც უნდა გაეგზავნაო სახელ. სათათბიროსთვის. ქალაქის ხმოსნებად უმეტესად „ჰეშმარიტი რუსები“ არიან. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ სათათბირო არ არის საკანონმდებლო დაწესებულება, ხელმწიფე კი დღესაც თვითმპყრობელიაო. ასტყდა ბაასი იმის შესახებ, სათათბარო საკანონმდებლო დაწესებულებაა თუ არაო. კენჭის ყრით გადასწყდა, რომ სათათბირო საკანონმდებლო დაწესებულება არ არისო. ხმის უმრავლესობით მიიღეს ზემოხსენებული პროექტი მისალოც დეპეშისა. სანამ ეს საკითხი გადაწყდებოდა, დარბაზში იდგა შეიარაღებული რაზმი „ჰეშმარიტ რუსთა“ კავშირისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ივალიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა
(15 ოქტომბრიდან)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრო № 7 დილის 10 საათზე (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 8 ს. 17 წ. (9 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სწრაფი № 8 საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 8 ს. 43 წ. (9 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 55 წ. (7 ს. 53 წ.)

ყარს-ერევნისაკენ: 1) საფოსტო ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.).

ტფილისში მოდის.

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 საღამოს 11 ს. (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 51 წ. (8 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 25 წ. (7 ს. 23 წ.).

ბაქოდან: 1) სწრაფი № 7 დილის 9 ს. 28 წ.; (10 ს. 26 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 7 ს. 26 წ. (8 ს. 24 წ.); 3) სამგზავრო, № 5 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო, ნაშუადამევის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.).

განცხადებანი

გარემოების გამო ყველა
საგანგებოდ მოწყობილ ქართულ

ბიბლიოთეკას

რომელიც შეიცავს 20 წლის განმავლობაში გამოცემულ ყოველ-გვარ ქართულ წიგნების თითო ეგზემპლიარს წიგნები დავარაყებულ ყდებით არის დანუმრული, და შვიდ კატალოგზე შედგენილი და დაყოფილი: I. საღვთო მწერლობა; II მეცნიერებითი; III. ისტორია-გეოგრაფია და მოგზაურობა; IV. კაზმული სიტყვიერება; მოთხრობები და პოეტური ნაწარმოებნი ცალკ-ცალკე; V. დრამატიული თხზულებანი; VI. საყმაწვილო და VII სამეცნიერო: ფიზიკა, ჰიგიენა, მედიცინა, ტეხნიკა და სამეურნეო და საპოლიტიკო წიგნები. ამასთანავე 1904—1905 და 1906 წლების „ცნობის ფურცელი“ და „მეგობარი“ ყდებით და სურათებიან დამატებით. სრულის წლის „ივერია“ ყოველდღიური და ყოველკვირეული და აგრეთვე ყდებით: „მუშა“, „ხმა“, „სიტყვა“, „ნობათი“, „გლეხი“ და „ახალი დროება“. ყველა წიგნები და გაზეთები თავის დაჩუქურთმებულ ახალ ძვირფას შკაფით ეღირება მხოლოდ 200 მანეთად. მისამართი: Станція Михайлово. Г. Чархишвили.

(8—400—5)

გამოვიდა
ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული

ქართული წერის დედანი
და
სახატავი ნიმუშები
ნ. დათუაძისა.

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში. ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათუაძეს. (10—3—5)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქ. ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ფ. ფ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

ფ. გ. ბეტიზიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. ფ. ბუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

გ. ი. გეელიშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ი. კარაპეტიანი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 საათამ. საბებიო. და ქალებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

საღამოთი:

ბ. ა. გრიგორიანი: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(ხალ.—159)

ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—9)

ვერაზე

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იყიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საჟ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის“ რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: Арагвинская ул., д. № 8.

(10—6)

ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუატეთ ან ესა თუ ის სენი გტანჯავთ, **ხანოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება ძეძიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ენერგიაა**, იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდები რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დროთ-ყამთან. **„სპერმატინი“** შედეგია **ბროუნ-სეკარის** შეკანიშნავ აღმ ჩენია. ჰშველის ყველაფერს: **სიხსნლნაკლებობას, ძალის სიხუსტეს სიბერეში, მარასმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ოანანიზმის შედეგს და წითელ ქარა, სიფილისს, სურავანდა, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ტლეკს, ქარეს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალებ. საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

ავადმყოფთა წერილები.

ბ. ი. გ. ახობაძეს. თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ძლ ერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხები ა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლია განმავლობაში ვდებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამია შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი „ოველ-გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემაუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი“ მომანიჯებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებ.ს თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს,** ჩემთვის უაარგებლოს. პატივისცემით: **ვ. ზნაცაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

ბ. ი. გ. ახობაძეს. ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი გახცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში“, რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი“ ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავადვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სისუსტითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რევმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი „სპერმატინი“, სულ გავნთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლის მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გაძოწერილი ექიმების გან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძეს, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემის შეელისათვისა.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე.**

ნოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძეს.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გადმოცემულ „სპერმატინისათვის“, ლაბორატორია. ი. ნ. ივანოვისა. 2 წელიწად მეტი ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარანცხელიასაგან ერთი ფლაკონი, უკვე გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **ვიჩი ალფენნე** სოფელ ოტომაიას მცხოვრები, სოხუმის ოლქის და გალის ნაწილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპერმატინი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამ, სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მან. ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიძახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუქელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შეა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოგზავნოს ბეჭ ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—ნ.—6)

რუსეთი

—:—

✦ **გაძლიერებული დაცვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა გუბერნატორებს, შეიძლება თუ არა ეხლავე გა-

---

რაშკა“ და ივან ივანიჩი, რომელიც ცოლს ყოველთვის სქესობრივ პრობლემებს უქადაგებდა.

— მარქსი, ბატონებო, მარქსი! კარლ მარქსი!—შემოგვძახა სულ შეგუებებულმა მაღალმა ამხანაგმა, ის კიბის ორ-ორს საფეხურს აბიჯებდა. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. ზოგიერთმა კიდეც შეჰყვირა ორკეცის სიხარულისაგან. ჯერ ერთი რომ „ყველაფერი მშვიდობიანთ“ იყო და მეორეც, რომ ასეთი საოცარი ამბავი მოხდა.

—მარქსი?!

დიახ! ყველაფერი შეიძლება მოხდეს—სთქვა ივან ივანიჩმა და გამართლდა კიდეც.

მაღალ ამხანაგს უკან წყნარად, დინჯის ნაბიჯით მოსდევდა გრძელ, ოქროს ფერ წვერიანი მოხუცი. ყველამ ვიცანით, რომ ის იყო კარლ მარქსი. ჩვენ, როგორც შეგირდები, დავდექით მის წინ რიგზე და კრძალვით ვიყურებდით მასწავლებელს. ის იყო წყნარი, გულკეთილი და თავმდაბალი.

— გამარჯობათ, ამხანაგებო!—წარმოსთქვა მან.

დავიწყეთ გაცნობა:

— ესდეკა ბოლშევიჩკა!

— „ესდეჩკა“, „მენშევიჩკა“!

— ესდეკი, მენშევიკი.

— ესერი!

— „ესდეჩკი“, „ბოლშევიკი!“

— ესდეკი ისე.

კარლ მარქსის კეთილი თვალები დაკვირვებით შემოგვჩერებოდა იმან ცოტაოდნად თავი გადმოხარა, თითქოს ერთი ყურით კარგა არ ესმისო და ხელმეორედ გვკითხა: „როგორ? ვ ნ? რაო“?

გლეხმა თავი დაუკრა და ვიდრე იდეოლოგები გაეცნობოდნენ, პროლეტარს ჩუმად ჰკითხა:

— ვინ არის ეგ, მითხარ თქვენი თავი და-თავი უფროსი ხომ არ არის?

— ყველაზე უფროსი. „კაპიტალი“ გაგიგონია?

— ჩვენ რა კაპიტალი გვაქს...

მოხუცი სტუმარი სკამზე დავსვით. მან ყველანი აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა გამსჭვრეტავის ჭკვიანის თვალებით. შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა ხელსახოცით და ტაბილად შეგვეკითხა:

— ეგ, როგორც სჩანს, გლეხი იქნება?..

— ჩვენ გახლავართ ნიჟეგოროდის გუბერნიიდან, შეიძლება თქვენ ლიროვკაში ყოფილხართ?

— არა. მაშ თქვენ გლეხი ხართ?

— გლეხი .. თქვენ სჩანს მემამულე იქნებიო, კადეტი?

ყველამ შუბლი შეიკრა და ხუჭუჭთმიან ყმაწვილს შეხედა.

— ახსენით საქმე!..

— უკაცრავად,—დაიწყო თმა-ხუჭუჭამ,—ეს ამხანაგი ჯერჯერობით კარგად არ არის შეგნებული, თუმცა ჩვენ გვყავს ბევრი მომზადებული, ძრიელ ბევრი...

— ბატონებო, თქვენ ყველა მარქსისტები ხართ, თუ... მე სრულებითაც ვერ მივხვდი, როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვეცნობოდით. თქვენ მგონი რაღაც ტერმინები ახსენეთ—ბოლშევიკი, მგონი ასე სთქვით, როგორ არის ეს—ესდეკი და მენშევიკი. ამიხსენით ღვთის გულისათვის...

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. თამბაქოს კვამლი ჰაერში იზლაზნებოდა. ბოლოს შავგვრემანმა ქალმა დაარღვია სიჩუმე.

— თქვენ თუ ლენინი წაგიკითხავთ, მაშ გეცოდინებათ კიდეც, რომ...

— ლენინი? რომელი ლენინი?

— და პლეხანოვიც!—თამად წამოიძახა პროლეტარიატის უკანიდან ქერა ქალმა.

— პლეხანოვი შემხვედრია, მაგრამ ლენინი კი, მოითმინეთ, მაგ...

— ლენინს ყველა გიმნაზიელი იცნობს, —სთქვა ულმაყოფილოდ შავგვრემანმა ქალმა.

— არ წამიკითხავს, მგონი არ წამიკითხავს.

— საკვირველია, ძრიელ საკვირველი!

„საყვარელო კ. მარქს, რისთვის მოხველ ძალლის მოედანზე“ — გამიელვა უცებ თავში ამ აზრმა.

ქერა ქალს, როგორც ეტყობოდა, შეეებრალა გამოურკვეველს მდგომარეობაში ჩავარდნილი მოხუცი. ის წინ უხვდებოდა შავგვრემან ქალის ყოველსავე იკრიძს.

— თქვენ ბოლშევიკები, რომ ლენინის მაგიერ ხშირად კითხულობდეთ კ. მარქსს, უკეთესი იქნებოდა. მარქსისტობა ულენინოდაც შეიძლება.

ღმერთო ჩემო, ვინ იცის, რა არ მოხდება ხოლმე, როდესაც ადამიანი იარაღს სიფრთხილით არ ეკიდება. ქერა ქალმა გაუგმირა რა შავკვრემანს გული პირდაპირ შეტყორცნით, ახლა გვერდიდან დაუწყო ბრძოლა. გვაპატიეთ!—მიუბრუნდა ის მარქსს, თქვენ არ იცით როგორ უტიფრად გეპყრობიან ბოლშევიკები.

— ეგ ტყუილია!

— დაამტკიცეთ!—შეჰყვირა ორივემ ერთად ერთმანეთს. ეს უსინდისობაა!

— წაიღეთ თქვენი სიტყვები უკან! თქვენ...

— არ წავიღებთ! კ. მარქსი არას დროს არ ყოფილა ოპორტიუნისტი! თქვენ ის კადეტად გადააქციეთ!

— ტყუილია! კ. მარქსი ხელსაც კი არ გაუწვდის თქვენს ლენინს!

იდეოლოგები შეჯგუფდნენ, ისინი ჰყვიროდნენ, იგინებოდნენ, იქნევდნენ ხელებს.

— დაანებეთ პირად ანგარიშებს თავი!

— ბატონებო, მოითმინეთ!

მათ ამ ორონტრიალში სრულებით გადაავიწყდათ ძკირფასი სტუმარი. ის კი ამ დროს იდგა კიბეზე და პროლეტარს ტაბილად რაღაცაზე ებაასებოდა. შემდეგ ორივე წყნარად ჩაეშვნენ ეზოსკენ და მიეფარა. გლეხი დიდხანს უგდებდა ყურს მათ ჩხუბს და ძრიელ სწუხდა. „რაძე ამბავი არ მოხდეს, ძოწმეთ არ წამათრიონ...“—ფურჩულებდა ის თავისთვის. შემდეგ აიღო თავისი ტოპრაკა და ისიც ჩაეშვა კიბეზე. იდეოლოგები კი ისევ კამათობდნენ.

— მარქსს არ შეეძლო ეგ ეთქვა! მარქსი არას დროს არა ყოფილა ოპორტიუნისტი!

— ძრიელ კარგი! ვკითხოთ თვითონ მარქსს! მასწავლებელო! ბ-ნო კარლ მარქს! ბ-ნო მარქს! ბატონებო, რა იქნა მარქსი? წასულა?

— მოითმინეთ თქვენის მარქსით, მე ვიმეორებ, რომ ლენინი...

კიბეზე მოისმა რაღაც ლაპარაკი, ფეხის ხმა და დეზების წკარა-წკური.

— დეზები! ბატონებო, დეზები!

მომაგონდა „შორეული ქვეყანა“, ურალი, „პარაშკა“ და თავი დავკიდე. ამხანაგები გაჩუმდნენ და მერე დამღერეს: „ჩვენ გავხდით მსხვერპლნი შავბნელ ბრძოლისა, ხალხისთვის თავდადებულნი...“

ი. ივალიშვილი.

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.